განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 2019 წლის 18 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

2019 წლის 15 ნოემბერი

თბილისი

2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0301
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთალ დე პაორ, წმინდა მერის კოლეჯი, ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქ-ნი ლალი ბერიშვილი წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლა (BGS), თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქ–ნი ანჟელა აბულაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს სრულ განაკვეთიან პროგრამას, რომელიც ინგლისურ ენაზე ისწავლება. მისი მინიმალური ხანგრძლივობა შეადგენს სამ წელს. პროგრამას სტუდენტებს სთავაზობს განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. პროგრამა შედგება ძირითადი კომპონენტებისგან, რომლის მოდულები 50 ECTS კრედიტს მოიცავს, არჩევითი კომპონენტი შეადგენს 10 კრედიტს, ხოლო დისერტაციის კომპონენტი 120 ECTS კრედიტს. პროგრამამ პირველად აკრედიტაცია 2012 წელს გაიარა. იგი სტუდენტებს სთავაზობს ორ არჩევანს - ინგლისური ენის სწავლება და განათლების ადმინისტრირება (ანუ ხელმძღვანელობა/მართვა).

აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

ვიზიტი განხორციელდა 18 სექტემბერს, ოთხშაბათს. ვიზიტი მოიცავდა შეხვედრებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, პედაგოგებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**

პროგრამა შესაბამისობაშია 3,4 და 5 სტანდარტთან და მეტწილად შესაბამისობაშია 1 და 2 სტანდარტთან.

რეკომენდაციები

პროგრამის გუნდმა უნდა განაგრძოს მუშაობა პროგრამის ამოცანებს, პროგრამის შედეგებსა და მოდულის სწავლის შედეგებს შორის ოპტიმალური შესაბამისობის მისაღწევად, გაითვალისწინოს რა ის კვლევითი არჩევანი, რომელსაც სტუდენტებს სთავაზობს (ინგლისური ენის სწავლება და განათლების ადმინისტრირება).

პროგრამის გუნდმა უნდა გადახედოს, თუ რა დონეზე შეუძლია ასეთ პროგრამას დამაკმაყოფილებლად მისცეს სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინაში მაგისტრის ხარისხის მფლობელ სტუდენტებს შესაძლებლობა მიაღწიონ დოქტორანტურის დონის შედეგებს

განათლების სფეროში. მან ასევე უნდა გააღრმავოს პროგრამის ამოცანები განათლების აკადემიურ სფეროში დისციპლინის ცოდნის სრულყოფისა და საგანმანათლებლო კვლევის მეთოდების გამოყენების კუთხით.

სასწავლო კომპონენტი კიდევ უფრო უნდა განვითარდეს ისე, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მაღალ დონეზე საგანმანათლებლო კვლევის ჩატარების ცოდნა და უნარები. ამით კვლევის პარადიგმების, ეპისტემოლოგიური საკითხების, ფილოსოფიური საფუძვლების, აქსიოლოგიის და ეთიკის, ასევე კვლევის ფართო სპექტრის მეთოდების (რაოდენობრივი, თვისებრივი და შერეული) ტექნიკური ასპექტების კიდევ უფრო მაღალ დონეზე დამუშავება იქნება შესაძლებელი, რაც ხელს შეუწყობს მაღალი სირთულის კვლევით ექსპერტიზას და ლიდერულ თვისებებს, რის დანერგვასაც ცდილობს პროგრამა. მიღებული სტუდენტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აკადემიური წერის გაძლიერებულად უზრუნველყოფა რეკომენდებულია.

სასურველია მისწრაფება უფრო მაღალი ცნობიერებისა და წყაროების (წიგნები და ჟურნალები) ფართო სპექტრზე წვდომისკენ, რათა სტუდენტები სრულად აღჭურვილნი იყვნენ მკვლევარის საქმიანობის შესასრულებლად საერთაშორისო განათლების კონტექსტში. ემპირიული ჟურნალების გამოყენების მნიშვნელობას ხაზი უნდა გაესვას ხელმძღვანელობის პროცესში. პროგრამის გუნდმა შეაფასა სხვადასხვა სადოქტორო პროგრამა სხვა ქვეყნებში და მოიძია საერთაშორისო ექსპერტების ნაშრომები. მსგავსი სამუშაო მუდმივ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს და მოიცვას სტუდენტები, ასევე სხვა სადოქტორო პროგრამებისთვის სტუდენტების მიერ დაწერილი დისერტაციების განხილვისა და შედარების შესაძლებლობები.

პროგრამის გუნდმა კიდევ უფრო უნდა განავითაროს პარტნიორობა როგორც საქართველოში არსებულ პარტნიორებთან, ასევე საზღვარგარეთ, მათ შორის პარტნიორობა ეროვნულ სააგენტოებთან, რომლებიც ჩართული არიან მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაში. პროგრამის გუნდს უკვე ნაკისრი აქვს მონიტორინგისა და განხილვის მთელი რიგი საქმიანობები. თუმცა, ზოგადი თვალსაზრისით, დამატებითი სამუშაოს განხორციელებაა საჭირო პროგრამის სასარგებლოდ, თითოეული მსგავსი ტიპის სამუშაოს შედეგების სრულად გამოსაყენებლად და დანერგვის უზრუნველყოფისთვის.

ბენჩმარკინგის პროცესი, რომელიც უკვე დაწყებულია შეტანილი ექვსი პროგრამით, უნდა გაგრძელდეს, რათა დამატებით გამოვლინდეს თუ რისი სწავლა და პრაქტიკაში დანერგვაა შესაძლებელი. უნდა აღირიცხოს თუ როგორ მიაღწია ბენჩმარკინგის პროცესმა პროგრამის გაუმჯობესებას. იმავე ტენდენციით, პროგრამის გუნდმა უფრო დეტალურად უნდა შეისწავლოს უცხოურ უნივერსიტეტებში მოქმედი მსგავსი პროგრამები, გამოავლინოს რა, თუ რამდენად შეესატყვისება და შეედრება შეთავაზებული სადოქტორო პროგრამა და სტუდენტის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი.

- **რჩევები**

პროგრამის გუნდმა უნდა გაითვალისწინოს ის გზები, რომლითაც გადახედავს, თუ რა დონეზე შეუძლია ასეთ პროგრამას დამაკმაყოფილებლად მისცეს სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინაში მაგისტრის ხარისხის მფლობელ სტუდენტებს შესაძლებლობა, რომ მიაღწიონ დოქტორანტურის დონის შედეგებს განათლების სფეროში. ამჟამად, პროგრამა შეთავაზებულია იმ

სტუდენტებისთვის, რომელთაც მაგისტრის ხარისხი აქვთ განათლებაში, ინგლისურ ენაში (მაგალითად, ლიტერატურა, ფილოლოგია) და განათლების ფსიქოლოგიაში ან ფლობენ მაგისტრის დონის პედაგოგიურ კვალიფიკაციას. ეს პროგრამას მიმზიდველს ხდის უფრო დიდი რაოდენობის კანდიდატებისთვის, თუმცა მეორეს მხრივ, ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ პროგრამამ ვერ განავითაროს სტუდენტების ცოდნა განათლების დისციპლინაში და ვერ განავითაროს საგანმანათლებლო კვლევის დონე საჭირო მასშტაბით. პროგრამის გუნდმა ასევე უნდა გადახედოს მის მიერ ტერმინი „ადმინისტრირების" გამოყენებას, როგორც პროგრამის ფარგლებში არსებული ორი არჩევანიდან ერთ-ერთს. ასეთ ტერმინს შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს კონტექსტიდან გამომდინარე, ანუ ერთის მხრივ ნიშნავდეს ხელმძღვანელობას/მართვას, მოიცავდეს ამაში კვლევით საქმიანობას და მეორეს მხრივ, შესაძლოა გულისხმობდეს ადმინისტრირების უფრო პროცედურულ მხარეს.

პროგრამა სტუდენტებს ორ არჩევანს სთავაზობს: ინგლისური ენის სწავლება და განათლების ადმინისტრირება (ანუ ხელმძღვანელობა/მართვა). უნდა განიხილოთ ფაკულტეტის მიერ სამაგისტრო დონეზე შეთავაზებების განვითარება, მაგალითად მაგისტრის ხარისხი განათლებაში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საგნის დიდაქტიკაზე. ამ დონეზე ასეთი ცოდნის მიღება ეფექტურად არის შესაძლებელი და სადოქტორო პროგრამა დაეთმობა საგანმანათლებლო კვლევის სფეროში მაღალი დონის კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულების ჩამოყალიბებას. პროგრამის გუნდს ასევე შეუძლია გაითვალისწინოს დამატებითი არჩევითი კურსების დამატება, რათა პროგრამა უფრო მეტად მოერგოს სტუდენტების ინტერესებსა და მათ არსებულ ცოდნას, ასევე მხედველობაში მიიღოს ისეთი ზომები, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები პროფესორის ასისტირებისგან სადოქტორო დონის პროგრამის შედეგების შესაბამისად ოპტიმალურ სარგებელს მიიღებენ.

პროგრამის გუნდს ასევე შეუძლია ნაყოფიერად განაგრძოს პროგრამის ამოცანებს, შედეგებსა და შინაარს შორის არსებული შესაბამისობის გადახედვა. კონსტრუქციული შესაბამისობის პრინციპების გათვალისწინებით, პერსონალი სწავლების მეთოდების უფრო მორგებულ პრეზენტაციას შეძლებს კურსის დოკუმენტაციაში. წარმოდგენილია რუბრიკები, თუმცა მათი კიდევ უფრო განვითარება შეიძლება, რათა ისინი შეიცავდნენ ისეთ დეტალებს, რომლებიც საჭიროა მიღწევების დონეების დიფერენცირებისთვის, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სწავლის სამაგალითო ან გამორჩეულ შედეგებს და სტუდენტების ხელმძღვანელობას.

მართალია, გათვალისწინებულია რამდენიმე არჩევითი კურსი, თუმცა დამატებითი არჩევითი კურსებით პროგრამა კიდევ უფრო მოერგებოდა სტუდენტების ინტერესებსა და წინა ცოდნას, გააღრმავებდა მათ ცოდნას განათლების სფეროში. შეიძლება ძირითადი კურსების გადახედვაც მუდმივი პროცესის სახით, იმის გათვალისწინებით, რომ მაგალითად სტუდენტებმა პროფესორის ასისტირებისგან მიიღონ ოპტიმალური სარგებელი სადოქტორო დონის პროგრამის შედეგების შესაბამისად.

ასევე მომგებიანი იქნება, სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობების მიცემა, მათი მხარდაჭერა განათლების აკადემიურ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღების მიზნით, მათ შორის სტუდენტთა მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებსა და საერთაშორისო მობილობაში. კიდევ ერთი დამატებითი რჩევა შეეხება პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მაგალითად ექსპერტების მიერ ჩატარებული ვებინარები და სემინარები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისა და სწავლის სტიპენდიებზე, რეცენზირებაზე.

რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფას, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ჩამოყალიბდეს პროგრამის განხილვის უფრო მეტად დეტალური სისტემა, რომელიც მოიცავს იმ დეტალებს, თუ რა სახით შეუძლია პროგრამის საბჭოს თავისი მუშაობით წვლილი შეიტანოს ხარისხის უზრუნველყოფაში. ამის მიღება შეიძლება პროგრამის დიზაინისა და მისი მიწოდების შესახებ დაინტერესებულ პირთა უკუკავშირიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასწავლო გეგმის მეფინგის გამოყენება ასევე შესაძლებელია პროგრამის ხარისხის მხარდასაჭერად და გასაუმჯობესებლად.

პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების შემდგომი განვითარება, მაგალითად, ვებ – სემინარები და სემინარების ჩატარება ექსპერტების მიერ, სწავლა -სწავლების სტიპენდიებზე უმაღლეს განათლებაში, თანატოლებთან დაკვირვება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სტუდენტებმა სასწავლო პროცესში მათი მხარდაჭერის კუთხით დადებითად ისაუბრეს პროგრამის კოორდინატორებისა და პერსონალის სხვა წევრების მხრიდან კომუნიკაციაზე. ფაკულტეტი უზრუნველყოფს პუბლიკაციების გაზრდილ შესაძლებლობებს საკუთარ რეცენზირებად „შავი ზღვის რეგიონში განათლების ჟურნალში“, ამგვარად ფაკულტეტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს წვლილი შეიტანონ განათლების, როგორც დისციპლინის განვითარებაში. იგი ასევე ორგანიზებას უწევს ახალგაზრდა მკვლევრების ყოველწლიურ კონფერენციებს, რომლებშიც სტუდენტებსაც შეუძლიათ მონაწილეობა და თავიანთი კვლევის გავრცელება. თანახელმძღვანელობის სისტემა, რომელშიც ჩართულია უცხოური უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი, ასევე ამდიდრებს სტუდენტის სასწავლო გამოცდილებას.

აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამამ სტუდენტები მოიზიდა როგორც მეზობელი ქვეყნებიდან, ასევე საქართველოდან. პროგრამის ძირითადმა პერსონალმა წარმატებულად გამოიყენა ევროპული პროექტები წარსულში საკუთარი კვლევის საფუძვლად, შეუქმნა რა სტუდენტებს ღირებული სასწავლო შესაძლებლობები. დაცულია და აღრიცხულია კარგი პრაქტიკა (როგორიცაა ზემოთ ხსენებული საუკეთესო პრაქტიკა), რაც ხაზს უსვამს პროგრამის გუნდის ძალისხმევას ისეთი კურსდამთავრებულების ჩამოყალიბების მიზნით, რომლებიც კვლევის სფეროში არიან აქტიურები და ქმნიან საფუძველს განათლების სფეროს ცოდნაში მნიშნელოვანი წვლილის შესატანად.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ამოცანები განსაზღვრავს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, დაკავშირებულია განათლების მეცნიერებების სფეროსა და საზოგადოების განვითარების მნიშნელოვან საჭიროებებთან. როგორც ძირითად და არჩევით მოდულებშია ნაჩვენები, გარდა იმისა, რომ ყურადღება მახვილდება სტუდენტების მკვლევარებად ჩამოყალიბებაზე, ხაზგასმულია სტუდენტების პედაგოგებად ჩამოყალიბებაც (მაგ. დიდაქტიკა), ისევე როგორც ლიდერებად/ადმინისტრატორებად უმაღლესი განათლების სფეროში.

პროგრამის ამოცანები აბზაცის ფორმით არის მოცემული თვითშეფასების ანგარიშის ტექსტის საწყის ნაწილში (სექცია 1.1), თუმცა სხვაგან (გვ.12 სადოქტორო პროგრამა - ინგლისურენოვანი ვორდის დოკუმენტი) ისინი წარმოდგენილია ოთხ მიზანში (იწყება ასე, „მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე განათლების მუშაკები, რომლებსაც გათვითცნობიერებული ექნებათ ....“).

საერთო ჯამში, აქედან ჩანს, რომ პროგრამას აქვს ერთზე მეტი ფოკუსი, მაგალითად სტუდენტების მკვლევარებად ჩამოყალიბება, მაგრამ იმავდროულად სტუდენტების მომზადება იმისათვის, რომ იმუშავონ უმაღლესი განათლების სწავლებისა და ხელმძღვანელობის სფეროში. მართალია ამით შესაძლოა გაფართოვდეს პროგრამით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაიშვებიან სტუდენტები, რომელთაც არ აქვთ მაგისტრის ხარისხი განათლების მეცნიერებების დარგში, და მართალია შესაძლოა იზრდებოდეს სტუდენტებისთვის კარიერული შესაძლებლობების ვარიანტები, მაგრამ არსებობს იმის საჭიროება, რომ პროგრამა იყოს ამბიციური მოსალოდნელი საგანმანათლებლო კვლევის დონის თვალსაზრისით. განათლების მკვლევარების ჩამოყალიბება იყო მთავარი საკითხი, რომელიც წამოიწია გასაუბრებების დროს. მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელობამ და მენეჯმენტმა ხაზი გაუსვა კვლევის შესაძლებლობების განვითარების აუცილებლობას განათლების სექტორში, დამსაქმებლებმაც აღნიშნეს იმის საჭიროება, რომ კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ მაღალი დონის უნარები კვლევის ჩასატარებლად და გასაკრიტიკებლად. ეს მნიშვნელოვანია საქართველოში, ეროვნული საგანმანათლებლო დღის წესრიგის მხარდასაჭერად, მზარდად გლობალიზებული და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო სივრცის პირობებში.

პროგრამა შეთავაზებულია იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც მაგისტრის ხარისხი აქვთ განათლებაში , ინგლისურ ენაში (მაგალითად, ლიტერატურა, ფილოლოგია) და განათლების ფსიქოლოგიაში ან ფლობენ მაგისტრის დონის პედაგოგიურ კვალიფიკაციას. ამ მრავალფეროვნების ხელშეწყობით, პროგრამა შესაძლოა უფრო მიმზიდველი იყოს კანდიდატების ფართო სპექტრისთვის და გაამდიდროს საკლასო ინტერაქცია სტუდენტებს შორის, მაგრამ მეორეს მხრივ, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ პროგრამამ გაცილებით მეტად უნდა იზრუნოს სტუდენტების განათლებაზე განათლების დისციპლინის ცოდნასა და სათანადო დონის საგანმანათლებლო კვლევაში.

განათლების კვლევასთან დაკავშირებული პროგრამის მიზნების გათვალისწინებით და სადოქტორო სწავლების კარგ პრაქტიკაზე დაყრდნობით, საჭიროა ამ შეთავაზების

განვითარება. ეს შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს განუვითარდეთ მაღალი დონის აღქმის უნარი, სრულყოფილად დაეუფლონ ცოდნის უნარებს და იმ კომპეტენციებს, რომლებიც საჭიროა დოქტორანტურის დონეზე, იმავდროულად მიჰყვნენ ინდივიდუალურ გზას, რომელიც შეესაბამება მათ აკადემიურ გეგმას. სხვაგვარად პროგრამა ვერ იმუშავებს კარგად საკუთარი ამოცანების რეალიზების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამის გუნდთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გასაუბრებები. • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.ibsu.edu.ge/en • პროგრამის კურიკულუმი • თვითშეფასების ანგარიში • პროგრამის გარე ექსპერტთა შეფასების ანგარიში • კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები: • გააფართოვეთ და გააღრმავეთ პროგრამის ამოცანები განათლების აკადემიურ სფეროში დისციპლინური ცოდნის დაუფლების კუთხითა და განათლების კვლევის მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით, რაც კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ პროგრამის დასასრულს.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • გადახედეთ, თუ რა დონეზე შეუძლია ასეთ პროგრამას დამაკმაყოფილებლად მისცეს სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინაში მაგისტრის ხარისხის მფლობელ სტუდენტებს მიაღწიონ დოქტორანტურის დონის შედეგებს განათლების სფეროში. • რაც შეეხება სხვა პროგრამების განვითარებას (ანუ გარდა ამ სადოქტორო პროგრამისა, რომელსაც აქ განვიხილავთ), იფიქრეთ ფაკულტეტის მიერ სამაგისტრო პროგრამის შეთავაზებაზე, მაგალითად სამაგისტრო პროგრამა განათლებაში, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს დიდაქტიკაზე (სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთ მიზნად არის განსაზღვრული) ან განათლების ადმინისტრირებაზე. ასეთი ცოდნის მიღება ეფექტურად შეიძლება ამ დონეზე და უფრო მეტ კანდიდატს მოიზიდავს სხვადასხვა დისციპლინებიდან. ამ შემთხვევაში სადოქტორო პროგრამა უფრო თანმიმდევრულად გაამახვილებს ყურადღებას სტუდენტებში განათლების კვლევის მაღალი სირთულის უნარების ჩამოყალიბებაზე და უფრო ექსკლუზიურად მოემსახურება იმ კანდიდატებს, რომელთაც კვალიფიკაცია აქვთ განათლებაში ან მონათესავე დარგში. • პროგრამის გუნდმა ასევე უნდა გადახედოს პროგრამაში გამოყენებულ ტერმინოლოგიას, კერძოდ კი ტერმინი „ადმინისტრირების“ გამოყენებას, პროგრამით შეთავაზებული ორი არჩევანიდან ერთ-ერთის განსაზღვრისთვის. ასეთ ტერმინს შესაძლოა განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს კონტექსტის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის გუნდი მას იყენებს ხელმძღვანელობის/მართვის აღსანიშნად, მოიცავს რა კვლევით საქმიანობას ამ სფეროებში (ადმინისტრირების უფრო პროცედურული ხასიათისგან განსხვავებით), უმჯობესი იქნება ამ ფაქტის მეტად ხაზგასმა ყველა შესაბამის სიტუაციასა და

დოკუმენტაციაში და ა.შ. ეს განსაკუთრებით მნიშნელოვანია იმის გამო, რომ პროგრამა ცდილობს მოიზიდოს დოქტორანტობის კანდიდატები საზღვარგარეთიდან, რომელთაც შესაძლოა „ადმინისტრირების“ თავიანთი გაგება ჰქონდეთ. • განაგრძეთ პროგრამის ამოცანების, შედეგებსა და შინაარს შორის არსებული შესაბამისობის გადახედვა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შედეგები ჩამოთვლილია იმ არსებითი ცოდნისა და გაგების, უნარებისა და მოცულობის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიხედვით, რომლებიც დოქტორანტს უნდა ჩამოუყალიბდეს პროგრამის დასასრულს. შესაბამისად, გათვალისწინებულია ის შედეგები, რომლებიც ახდენს ემოციური თუ განწყობის დომენის მობილიზებას, და არა მხოლოდ კოგნიტურს. ეს უკავშირდება სტუდენტების, როგორც განათლების სფეროს მომავალი ლიდერების, ღირებულებებისა და ძალისხმევის ჩამოყალიბებას. თუმცა, შესაძლებელია ამ ყველაფერის მეტად ჩამოყალიბება და დახვეწა, რაც შედეგად მოგვცემს უფრო მოკლე შედეგებს, უფრო მეტად კონკრეტულს და შესაბამისად უზრუნველყოფს იმას, რომ მეფინგის პროცესი უფრო წარმატებული გახდეს პროგრამის იმ ნაწილის გამოვლენაში, თუ სად ხდება კონკრეტული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციებისთვის ყურადღების დათმობა.

ასევე გასათვალისწინებელია თუ რა მასშტაბით ხდება შედეგების მხარდაჭერა ინდივიდუალური მოდულების მეშვეობით. მაგალითად, ერთ-ერთი შედეგი „სტუდენტს აქვს უნარი საკუთარი კვლევითი პლატფორმის შემუშავებისა...“ დაწყვილებულია სასემინარო აქტივობასთან პროფესიული განვითარების შესახებ (ბაკალავრის სტუდენტის დახმარება საკონფერენციო თემის მომზადებაში, თანაავტორობა). ამ ორს შორის კავშირი არ არის საკმარისად გასაგები. სასწავლო გეგმის მეფინგის სავარჯიშო იძლევა პოტენციალს უფრო სრულყოფილი შესაბამისობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან;
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი
- პროგრამის სწავლის შედეგები
- ბენჩმარქინგის დოკუმენტი
- პროგრამის გარე შეფასების ანგარიში
- კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- კურიკულუმის მეფინგის სავარჯიშო უნდა შემუშავდეს, დაინერგოს რუტინულად და მუდმივ დავალებად, რომელშიც ჩართული იქნება პროგრამის გუნდის ყველა წევრი, რათა უზრუნველყონ რომ პროგრამა ოპტიმალურად ეხმიანებოდეს დოქტორანტურის დონის შედეგებს განათლების დარგში. კურიკულუმის ამგვარი რუკა და თანმხლები შინაარსი უფრო მკაფიოდ განსაზღვრული უნდა იყოს მთლიანი პროგრამის შედეგებსა და კონკრეტული კომპონენტის/მოდულის აგებულების(შედეგები და შინაარსი) დემონსტრირების თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მ ე ტწ ი ლ ბ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთ ხ ოვ ნ ე ბ თა ნ

☐ნ ა წ ი ლ ობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთ ხ ოვ ნ ე ბ თა ნ

☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთ ხ ოვ ნ ე ბ თა ნ

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშების წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. პროგრამაზე მისაღებად საჭიროა მაგისტრის ხარისხი განათლებაში, ფსიქოლოგიაში ან ინგლისურ ფილოლოგიაში, ან მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი 60-კრედიტიანი პროგრამის სერტიფიკატი. როგორც აქამდე უკვე აღინიშნა, ეს ხელს უწყობს ჯგუფის მრავალფეროვნებას და ქმნის პოტენციალს სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების, გამოცდილების გაზიარებისა და საკლასო დისკუსიების გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა, ასევე წარმოადგენს გამოწვევას ყველა სტუდენტის მიერ განათლების დარგში დოქტორანტურის დონის შედეგების მისაღწევად, იმ დარგში, სადაც სტუდენტებს მოეთხოვებათ იმუშაონ განათლების, როგორც დისციპლინის წინა ხაზზე. განაცხადების შეტანის ეტაპზე კანდიდატებს მოეთხოვებათ წარადგინონ გამოქვეყნებული სტატია, და ასევე, დისერტაციის პროექტი. ამით უზრუნველყოფილია ის მოთხოვნა, რომ კანდიდატები უკვე ფლობდნენ გარკვეულ კვლევით უნარებს. ეს მოთხოვნა ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ყველა კანდიდატს

მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე და ვალდებულები არიან ჩააბარონ უნივერსიტეტის შიდა გამოცდები (თუკი უკვე არ ფლობენ ენის საერთაშორისო სერტიფიკატს). თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მიღების პროცედურები სამართლიანია, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.ibsu.edu.ge ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: • დანერგეთ განხილვის მექანიზმი, რომელიც იმუშავებს გარკვეული დროის განმავლობაში, რათა შეამოწმოთ თუ რა დონეზე შეუძლიათ სხვადასხვა აკადემიური დისციპლინების მაგისტრის ხარისხის მქონე სტუდენტებს მიაღწიონ დოქტორანტურის დონის შედეგებს განათლების დარგში.
რჩევები: • დანერგეთ განხილვის მექანიზმი, რომელიც იმუშავებს გარკვეული დროის განმავლობაში, რათა შეამოწმოთ თუ რა დონეზე შეუძლიათ სხვადასხვა აკადემიური დისციპლინის მაგისტრის ხარისხის მქონე სტუდენტებს მიაღწიონ დოქტორანტურის დონის შედეგებს განათლების დარგში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმანთლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. იგი გრძელდება მინიმუმ 3 აკადემიური წლის, ან 6 აკადემიური სემესტრის განმავლობაში და მოიცავს 180 კრედიტს. პროგრამაში მონაწილეობას იღებს შესაბამისი აკადემიური პერსონალი. სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) მოიცავს 12 კურსს, აქედან 7 სავალდებულოს (50 კრედიტი) და 5 არჩევითს (სტუდენტმა უნდა აიღოს 10 კრედიტი ამ კურსებიდან). ეს კომპონენტი მოიცავს პროფესორის ასისტირების მოდულსაც, რომელიც სავალდებულოა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობის გამოცდილება.

კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი) თანმიმდევრულად და ლოგიკურად ინტეგრირებულია პროგრამის მთლიან სტრუქტურაში. სტუდენტები ნაშრომზე მუშაობას იწყებენ მესამე სემესტრიდან და განრიგის თანახმად დისერტაციის დაცვა უწევთ მეექვსე სემესტრში, თუმცა შეუძლიათ გადაავადონ.

მთლიანი პროგრამის შინაარსი შეესატყვისება კვალიფიკაციის დონეს და განზრახულ სწავლის შედეგებს. თუმცა, როგორც აქამდე აღვნიშნეთ, არსებობს კვლევის ექსპერტიზის განვითარებაზე მეტი ყურადღების გამახვილების პოტენციალი. თანამედროვე კვლევის მეთოდების კურსი სტუდენტებს აცნობს კვლევის მეთოდებს და შესაძლოა მისი გაუმჯობესება ისე, რომ სტუდენტებს მიაწოდოს უფრო სიღრმისეული ექსპერტიზა კვლევის მეთოდებში. აკადემიური წერის განვითარების უზრუნველყოფა ასევე წარმოადგენს იმ სფეროს, რომლის განვითარება უფრო მეტად შეიძლება. მართალია პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სპეციალობის ორ მიმართულებას, თუმცა პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრებმა და სადისერტაციო ნაშრომების სათაურების განხილვამ გამოავლინა, რომ სტუდენტების უმეტესობა ირჩევს ინგლისური ენის სწავლების და სწავლის კვლევას. არჩევითი კურსების დამატება პროგრამას გახდის უფრო მორგებულს სტუდენტების ინტერესებსა და მათ არსებულ ცოდნაზე, ასევე დაეხმარება მათ გაიღრმავონ ცოდნა განათლების დარგში დოქტორანტურის დონის სწავლების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- განათლების მეცნიერებათა სადოქტორო (ინგლისური) პროგრამა;
- IBSU-ს სახელმძღვანელო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვისა და განვითარებისთვის;
- კურიკულუმის რუკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.ibsu.edu.ge
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- გაზარდეთ კვლევის მეთოდების კუთხით კურსების მიწოდება, მაგალითად კვლევის მეთოდების გაფართოებული კურსი ან დამატებითი სპეციფიკის ან უფრო მაღალი სირთულის კურსები.
- მეტი დრო დაუთმეთ აკადემიურ წერას, რადგან მიღებული სტუდენტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ზოგიერთ სტუდენტს სხვადასხვა დონის ცოდნა აქვს ამ საგანში.

რჩევები:

- იფიქრეთ არჩევითი კურსების დამატებაზე, რათა პროგრამა მეტად მოერგოს სტუდენტების ინტერესებსა და წარსულ ცოდნას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ➢ თითოეულო ძირითადი კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ამის გარდა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თუ არ გავითვალისწინებთ, რომ კვლევის მეთოდების უზრუნველყოფის მეტი მხარდაჭერაა საჭირო, კურსების სილაბუსები და კრედიტების განაწილება სათანადოა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს სწავლის შედეგები თავის მხრივ, შესაბამისობაშია ზოგადად პროგრამის სწავლის შედეგებთან. კურსები ორიენტირებულია საჭირო

კომპეტენციების განვითარებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ჩამოყალიბებაზე. პროგრამამ ასევე, შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

კურსების შინაარსი ძირითადად თანმიმდევრულია პროგრამის სწავლის შედეგებთან. მართალია, ზოგიერთი ინდივიდუალური კურსი შეიცავს კვლევით კომპონენტს, თუმცა როგორც უკვე ითქვა, სტუდენტის ცოდნა და უნარები საჭიროებს დამატებით მუშაობას თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებაში, ასევე საჭიროა ლიტერატურის მიმოხილვის სისტემატურად განხორციელება და კვლევის მონაცემთა ბაზებზე მუშაობა. მაგალითად, აღსანიშნავია რომ ინტერვიუების დროს მხოლოდ ერთმა სტუდენტმა შეძლო ერთი კვლევის მონაცემთა ბაზის დასახელება. ზოგიერთი დისერტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში, ნაშრომი უმეტესად ეყრდნობოდა წიგნებს და ცოტა მოძველებულ ჟურნალებს, ნაცვლად შედარებით ახალ ჟურნალებში გამოქვეყნებულ ემპირიულ კვლევების. მართალია წიგნების გამოყენება არსებითი მნიშვნელობისაა, თავისი ფუნდამენტალურობითა და კლასიკურობით, თუმცა საჭიროა ჟურნალების მეტად გამოყენებაც. ეს აუცილებელია თუკი სტუდენტები გეგმავენ რომ განათლების დისციპლინის მოწინავე პოზიციებზე იმუშაონ. უმეტეს შემთხვევაში, თითოეული კურსისთვის დაკონკრეტებული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და დაგეგმილ შედეგებს. თუმცა, ზოგიერთი კურსის შემთხვევაში, არსებობს ძირეული კომპონენტების უფრო დეტალურად შესწავლის პოტენციალი, ნაცვლად ზოგადი ფორმით განხილვისა.

პროგრამა ისწავლება ინგლისურად და სტუდენტებს სწავლის პერიოდში მოეთხოვებათ მთელი რიგი ინგლისურენოვანი ლიტერატურის წაკითხვა, როგორც ეს მაგალითად, გამოხატულია დისერტაციის იმ ნიმუშში, რომელიც განვიხილეთ ადგილზე ვიზიტის დროს და ასევე კურსის სილაბუსებშიც. თუმცა, შესაძლებელია სტუდენტების მიერ ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიების მეტად განვითარება, უფრო მეტი ლიტერატურის მითითება, ნაცვლად იმისა, რომ ხაზი გაუსვათ სახელმძღვანელოებისა და ჰენდაუთების მეტად შეზღუდულ სიას, რაც ამჟამად მოცემულია სილაბუსებში. ეს განავითარებს სტუდენტების ცოდნას ლიტერატურის კუთხით და ასევე გამოუმუშავებს პასუხისმგებლობას დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის გაღრმავებისა და გაფართოების თვალსაზრისით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გარდა ძირითადი ფუნდამენტალური ტექსტებისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს რეცენზირებადი ჟურნალების გამოყენებას, რამეთუ ისინი მეტ ინფორმაციას იძლევიან განათლების კვლევებში უახლეს მიღწევებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- განათლების მეცნიერებათა სადოქტორო (ინგლისური) პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კურსის სილაბუსი;
- გასაუბრების შედეგები;
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში.

რეკომენდაციები:

- განავითარეთ უფრო მაღალი ცნობიერება და ცოდნა კვლევის მონაცემთა ბაზების გამოყენების საჭიროებაზე (როგორც ბიბლიოთეკაში, ისე უნივერსიტეტის შენობის გარეთ) ჟურნალებისა და სხვა წყაროების ხელმისაწვდომობისთვის.
- ხელი შეუწყვეთ სტუდენტებს, რომ გააუმჯობესონ კითხვის პრაქტიკა, განსაკუთრებით კი რეცენზირებადი ჟურნალების, ნაცვლად იმისა, რომ ზედმეტად დაეყრდნონ უფრო ზოგადი ტიპის სახელმძღვანელოებს.
- გააღრმავეთ კონკრეტული თემების შესწავლა კურსების ფარგლებში (ნაცვლად იმისა, რომ უფრო ზედაპირული თემების ფართო სპექტრი განიხილოთ), რათა სტუდენტებს მეტი გამოწვევა ჰქონდეთ და გააღვიძოთ მათი ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობა და მოამზადოთ მაღალი სირთულის კვლევითი სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც მათ მოეთხოვებათ მოგვიანებით, როცა დაიწყებენ დისერტაციაზე მუშაობას.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი უამრავი გზით უწყობს ხელს სტუდენტების აკადემიურ განვითარებას. მაგალითად, ახალგაზრდა მკვლევარების კონფერენციები და შემდგომი პუბლიკაციების შესაძლებლობები კონფერენციის მასალებში, ასევე სხვა რეცენზირებად ჟურნალებში, მათ შორის, თავად ფაკულტეტის ჟურნალში „შავი ზღვის რეგიონში განათლების ჟურნალი“. დისერტაციის საერთაშორისო ხელმძღვანელობის სისტემა ასევე დანერგილია, რაც

დაეხმარება სტუდენტებს გაიფართოვონ ინტელექტუალური ჰორიზონტი განათლების დარგში და დაინახონ ალტერნატიული პერსპექტივები განათლების საკითხებზე. გასაუბრებების დროს, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ხშირად იღებენ მონაწილეობას საქართველოსა და საზღვრებს გარეთ გამართულ კონფერენციებში და რომ მათ ამ მხრივ მხარს უჭერენ. კურსების სილაბუსები მოიცავს ლექციების, სემინარების და პრაქტიკული დავალებების კომბინაციას, რაც ხელსაყრელია დისციპლინარული და ტრანსფერული ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროფესორის ასისტირება ასევე შემუშავებულია იმისთვის, რომ სტუდენტების ცოდნის გადატანა მოხდეს პრაქტიკულ საქმიანობაში, თუმცა შესაძლებელია დამატებითი ძალისხმევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა სტუდენტმა თანაბრად ისარგებლოს ამ აქტივობაში მონაწილეობით. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებულმა შეხვედრებმა გვიჩვენა, რომ ტიპური დამსაქმებლები ამ პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის არიან სკოლები და უნივერსიტეტები. ადგილზე ვიზიტის დროს, სხვადასხვა დაინტერესებულმა პირმა მაღალი დონის კმაყოფილება დააფიქსირა პროგრამისადმი. ერთმა დამსაქმებელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებულების დასაქმება დადებითი შედეგის მომტანი იყო მისი უნივერსიტეტისთვის, რადგან ისინი მაღალ დონეზე ფლობდნენ საკითხს და ინგლისურ ენას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. ○ სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში (უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი სტუდენტების საკონფერენციო ნაშრომები, „შავი ზღვის რეგიონში განათლების ჟურნალი“). ○ გასაუბრების შედეგები; ○ უნივერსიტეტებთან და სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმები.
რეკომენდაციები:
რჩევები: • მხედველობაში მიიღეთ ისეთი ზომები, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები პროფესორის ასისტირებისგან ოპტიმალურ სარგებელს მიიღებენ სადოქტორო დონის პროგრამის შედეგების შესაბამისად. • განაგრძეთ სტუდენტებისთვის შესაძლებლობების გამოვლენა და შეთავაზება, რათა მხარი დაუჭიროთ მათ მონაწილეობას განათლების აკადემიურ საზოგადოებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ფაკულტეტი უზრუნველყოფს პუბლიკაციის გაზრდილ შესაძლებლობებს საკუთარ რეცენზირებად ჟურნალში, „შავი ზღვის რეგიონში განათლების ჟურნალი“, ამგვარად შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს წვლილი შეიტანონ განათლების, როგორც

დისციპლინის განვითარებაში. იგი ასევე ორგანიზებას უწევს ახალგაზრდა მკვლევრების ყოველწლიურ კონფერენციებს, რომლებშიც სტუდენტებსაც შეუძლიათ მონაწილეობა.
აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესატყვისება შინაარსსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს, ხელსაყრელია სტუდენტების ჩართულობისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის. თითოეულ სილაბუსში ჩამოთვლილია სწავლების/სწავლის სხვადასხვა მეთოდები (მაგალითად, დისკუსია, დებატები, დემონსტრაცია, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი), თუმცა კარგი იქნებოდა მეტი დიფერენციაცია იმისა, თუ როგორ მოხდება კონკრეტული მეთოდის გამოყენება კონკრეტული კურსის შინაარსისთვის. გასაუბრების დროს, პროფესორებმაც და სტუდენტებმაც აღნიშნეს სტუდენტზე ორიენტირებული და ინტერაქტიული სწავლის მეთოდების გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ კურსების სილაბუსი; ○ სწავლება-სწავლის მეთოდები; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:

რჩევები: • კონსტრუქციული შესაბამისობის პრინციპების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირეთ პერსონალს რომ წარადგინონ სწავლების მეთოდების უფრო მსმენელზე მორგებული პრეზენტაცია კურსის დოკუმენტაციაში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐მ ე ტწ ი ლ ზ დ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების ცოდნა ფასდება მინისტრის ბრძანებისა და შესაბამისი წესების შესაბამისად. განსაზღვრულია მინიმალური ქულა შუალედური და საბოლოო შეფასების მისაღებად. კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტუდენტი მიაღწევს კურსის სწავლის შედეგებს, გარკვეული მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების კომპონენტები მოიცავს დისკუსიებში მონაწილეობას, ლიტერატურის მიმოხილვას, ესეს, პრეზენტაციას, პროექტს, კვლევის გეგმას, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს. კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კრიტერიუმებია: სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების ადეკვატურობა და პრაქტიკული მაგალითები, ტერმინოლოგიის გამოყენების ადეკვატურობა, განხილვაში მონაწილეობა, ლოგიკური დასაბუთება. ამასთან, შესაძლებელია შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი ისე შემუშავდეს, რომ სტუდენტებმა უფრო ცხადად იცოდნენ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ, თუ სამაგალითოდ ისწავლიან. ამრიგად, მათ ექნებათ მოტივაცია მიაღწიონ სწავლის საუკეთესო შედეგებს. პროგრამის გუნდმა შეაფასა სხვა ქვეყნებში არსებული სხვადასხვა სადოქტორო პროგრამა და მოიძია საერთაშორისო ექსპერტების ნაშრომები. მსგავსი სამუშაო მუდმივ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს და მოიცვას სტუდენტები, ასევე სხვა სადოქტორო პროგრამებისთვის სტუდენტების მიერ დაწერილი დისერტაციების განხილვისა და შედარების შესაძლებლობები.

ასევე ხელმისაწვდომია დისერტაციის დაცვას აფასებს ჟიური. სადოქტორო დისერტაციების შეფასების რუბრიკა. ყველა სასწავლო კურსის დაწყებამდე სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას შეფასების მეთოდების შესახებ. ყველა სილაბუსს აქვს შეფასების დეტალური სისტემა, მათ შორის, შეფასების კომპონენტები და შეფასების რუბრიკები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმებს აკლია დეტალები, რომლებიც საჭიროა მიღწევების დონეების დიფერენცირებისათვის და სტუდენტების ხელმძღვანელობისთვის. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტები რეგულარულად იღებენ შეფასებას თითოეულ დავალებაში და უკუკავშირს ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ განათლების მეცნიერებათა სადოქტორო (ინგლისური) პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.ibsu.edu.ge ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • უნდა დაიხვეწოს შეფასების რუბრიკები, რათა ისინი შეიცავდნენ ისეთ დეტალებს, როგორებიც საჭიროა მიღწევების დონეების დიფერენცირებისთვის (განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სწავლის სამაგალითო ან გამორჩეულ შედეგებს) და სტუდენტების ხელმძღვანელობისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შესაბამისი სერვისების შეთავაზებით. პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლები აცნობენ სტუდენტებს აღნიშნულ სერვისებს, ატარებენ ღონისძიებებს და ხელს უწყობენ სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადგილზე ვიზიტის დროს პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ სტუდენტებს უწევენ შესაბამის ინდივიდუალურ კონსულტაციებს და მათთვის უზრუნველყოფილია დამხმარე სერვისები. სტუდენტებს აქვთ მხარდაჭერა კარიერის დაგეგმვაში და საკუთარი მიღწევების გამოყენებაში კარიერული წინსვლისთვის. ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური პერსონალი ყოველთვის მზადაა მიიღოს ისინი, განიხილოს დისერტაციაზე მუშაობა და სხვა დავალებები. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ აქვთ საკმარისი შესაძლებლობა გაესაუბრონ თავიანთ ხელმძღვანელებს და მიიღონ სათანადო ინსტრუქცია მუშაობის პროცესთან დაკავშირებით. შუალედური შეფასებები სტუდენტებისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან უკუკავშირს, თუ როგორ უნდა აკმაყოფილებდნენ კრიტერიუმებს და გაუმჯობესების რა შესაძლებლობები აქვთ. როგორც სტუდენტებმა, ისე აკადემიურმა პერსონალმა განაცხადა, რომ ამისთვის საკმარისი შესაძლებლობები არსებობს ლექციებისა თუ ინდივიდუალური შეხვედრების დროს. უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის შექმნილია მეგობრული გარემო, სადაც ისინი მხარდაჭერას იღებენ. არსებობს საზღვარგარეთის სასწავლებლებში მობილობის შესაძლებლობები, თუმცა ამას ძალიან ცოტა სტუდენტი იყენებს. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს, რომ მიიღონ მონაწილეობა კონფერენციებში. ბევრ გამოკითხულ სტუდენტსა და კურსდამთავრებულს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული კვლევით კონფერენციებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ასევე საჭიროა

სტუდენტების მიერ საერთაშორისო მობილობის გამოყენების ხელშეწყობა უფრო მეტად. ამას ხელი ეშლება, რადგან ბევრ სტუდენტს საქართველოში, აქვს თავის ოჯახთან ვალდებულებები. სტუდენტებს ასევე ეძლევათ პუბლიკაციის მთელი რიგი შესაძლებლობები, მათ შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფაკულტეტის ჟურნალშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ ინტერვიუ უსდ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ ინტერვიუ უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • საჭიროა მეტი ფინანსური რესურსების მოპოვების შესაძლებლობების გამოკვლევა, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში • ხელი უნდა შეეწყოს სტუდენტების მიერ საერთაშორისო მობილობის უფრო მეტად გამოყენებას
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაინერგა საერთაშორისო თანახელმძღვანელობის სისტემა, რაც ნიშნავს, რომ თითოეულ სტუდენტს ჰყავს ერთი ხელმძღვანელი IBSU-ში, მეორე კი - სხვა ქვეყანაში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელები ძალიან ხშირად ატარებენ კონსულტაციებს. სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა სასწავლო და კვლევით

საქმიანობაში. როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი დისერტაციის შემოწმება აჩვენებს, რომ საჭიროა ხელმძღვანელებმა ყურადღება გაამახვილონ ჟურნალის, როგორც ლიტერატურის მიმოხილვის, თეორიული ჩარჩოებისა და კვლევის მეთოდოლოგიის წყაროს მნიშვნელობაზე. ზოგ დისერტაციას ნამდვილად წაადგებოდა უფრო საფუძვლიანი ანალიზი (განსაკუთრებით, თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ჩატარებული კვლევებისა) და არსებულ ლიტერატურაში ასახული შედეგების განხილვა, რაც შექმნიდა საგანმანათლებლო ცოდნის შევსების, შედარების, განვრცობის, დაპირისპირებისა და სხვა შესაძლებლობებს. უკვე დაწყებული საორიენტაციო სავარჯიშო (რომელიც მოიცავს ექვს პროგრამას მოიცავს ევროპასა და აშშ-ში) პროგრამის გუნდს საშუალებას მისცემდა სტუდენტების ნაშრომები და მსგავსი საერთაშორისო პროგრამებისთვის დაწერილი უცხოური დისერტაციები ერთმანეთისთვის შეედარებინა. საორიენტაციო პროცესიდან მიღებული ცოდნის გამოყენება ასევე შეიძლება დაეხმაროს ეთიკის შემუშავებას კვლევის პროცესში, რადგანაც სტუდენტებმა ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე უნდა გააკეთონ განაცხადი კვლევის ეთიკის შესახებ განაცხადი, რომელსაც ექსპერტთა დამოუკიდებელი კოლეგია განიხილავს. განაცხადი მოიცავს ეთიკის როგორც ფილოსოფიურ, ისე ოპერატიული საკითხებს (თანხმობის ცნობა, მონაცემთა შენახვა და ა.შ.).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ დისერტაციების ასლები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუ უსდ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ ექსპერტებთან შეხვედრა სკაიპით და ექსპერტთა ანგარიშები
რეკომენდაციები: • სტუდენტების უფრო მეტად ინფორმირება ჟურნალის, როგორც სადისერტაციო ნაშრომის წყაროს შესახებ, რათა მათ უფრო ნათლად იცოდნენ, თუ როგორი წვლილი შეაქვს მათ კვლევებს განათლების სფეროში ცოდნის დაგროვებაში. • უკვე დაწყებული საორიენტაციო პროცესის გამოყენება, რათა გამოჩნდეს ახალი გზები დისერტაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგ. თეორიული ჩარჩო, მეთოდოლოგია, ანალიზი, შედეგების განხილვა
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

• გაგრძელდეს ეთიკის დამტკიცების პროცესი
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პროგრამამ დაამკვიდრა თანახელმძღვანელობის სისტემა, რომელშიც მონაწილეობს ხელმძღვანელი უცხოური უნივერსიტეტიდან. ამას მოაქვს სწავლის დამატებითი შესაძლებლობები ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის ხელმძღვანელებისა და სტუდენტებისთვის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

არსებობს საკმარისი რაოდენობის აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს სათანადო კომპეტენცია და გამოცდილება განახორციელოს პროგრამა და დაეხმაროს სტუდენტებს სასწავლო შედეგების მიღწევაში. პერსონალის კომპეტენცია დასტურდება მათი აკადემიური ხარისხით, კვლევითი პუბლიკაციებითა და სწავლების გამოცდილებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (9:2) იძლევა პროგრამის მდგრადი და სტაბილური განვითარების საშუალებას. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ასევე შესაბამისია პროგრამის ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან (38:12). პროგრამის კოორდინატორი ავლენს საჭირო ცოდნას, სწავლებისა და კვლევის გამოცდილებას, ასევე წვლილი შეაქვს პროგრამის განხორციელებაში და მოქმედი პროგრამების განვითარებასა და გაუმჯობესებაში. იგი დაწყების დღიდან ხელმძღვანელობს პროგრამას. მისი ხელმძღვანელობა და თავდადება მრავალჯერ აღინიშნა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებებში ადგილზე ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სამუშაოს აღწერა;
- შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები
- პირადი საქმეები და რეზიუმეები
- გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პროგრამის პერსონალის წვლილი სწავლის პროცესის სასიამოვნოდ და პროდუქტიულად წარმართვაში
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი აწარმოებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რეგულარულ შეფასებას. პროფესიული განვითარება ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით, მაგალითად: პერსონალის ჩართვა საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში, ევროკავშირის გაცვლითი/მობილობის პროგრამები (როგორიცაა, Tempus და Erasmus +), უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობა, Fulbright-ის სტიპენდია, TESOL-ის გაცვლითი პროგრამა და ა.შ. პერსონალს ასევე აქვს ტრენინგში მონაწილეობის შესაძლებლობა (მაგ., ტრენინგი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის, სემინარები პლაგიატის საკითხებთან დაკავშირებით). პერსონალის პუბლიკაციებისთვის დამატებით სტიმულს წარმოადგენს ფინანსური წახალისების სისტემა. მათ მონაწილეობას სამეცნიერო საქმიანობაში (კონფერენციები, პუბლიკაციები) ასევე აქვს ფინანსური მხარდაჭერა. უნივერსიტეტი აწარმოებს პროფესორების სამეცნიერო საქმიანობის, მაგ., სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის და სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს. ყოველი წლის ბოლოს თანამშრომლები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენენ სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშს. პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის უფრო ფართო მხარდაჭერისთვის შესაძლებელია განხილულ იქნას კოლეგეიალური დაკვირვება სწავლების პროცესზე(ერთი ლექტორი აკვირდება მეორეს და აძლევს უკუკავშირს) მნიშვნელობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • უნივერსიტეტის შინაგანაწესი • IBSU–ს დაწესებულებები • გასაუბრებების შედეგები • სამოგზაურო ხარჯების ქვითრები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების შემდგომი განვითარება, მაგალითად, ვებ – სემინარები და სემინარების ჩატარება ექსპერტების მიერ, სწავლა - სწავლების სტიპენდიებზე უმაღლეს განათლებაში, თანატოლებთან დაკვირვება.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (მათ შორის, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული რესურსცენტრი, ლაბორატორია და სხვა ტექნიკური მოწყობილობა) შეესაბამება პროგრამის მიზნებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ლექციებისა და სემინარებისთვის გამოყენებული საკლასო ოთახები აღჭურვილია სწავლებისთვის საჭირო ყველა ტექნიკით, მაგ. კომპიუტერი, ოვერჰედის პროექტორი, ინტერაქტიული თეთრი დაფა და ა.შ. კომპიუტერული ლაბორატორიები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ფართო კატალოგი, თუმცა საჭიროა გარკვეული დარგების,

მაგალითად, კვლევის მეთოდების შესახებ მონაცემების შევსება. ბიბლიოთეკის ტურმა აჩვენა, თუ რამდენად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, თუმცა ერთ-ერთი წიგნი სინოპტიკური კვლევის მეთოდებზე მხოლოდ ქსეროასლის სახით იყო წარმოდგენილი და არა ორიგინალით. რაც შეეხება ჟურნალებს, შეხვედრებმა სტუდენტებთან და პერსონალთან, აგრეთვე ბიბლიოთეკაში ვიზიტმა აჩვენა, რომ საჭიროა მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომი მარაგის შესახებ მეტი ცოდნა (მათ შორის ბიბლიოთეკის პერსონალისა), ასევე, არ არსებობდა საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის შენობის გარეთ (და არა მხოლოდ მაშინ, როცა ბიბლიოთეკაში იმყოფებიან).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • IBSU-ს მატერიალური რესურსების შესამოწმებელი ვიზიტი • ვიზიტი IBSU-ს ბიბლიოთეკაში • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან • თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: • გაიზარდოს წვდომა მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების უფრო ფართო სპექტრზე, რაც აამაღლებს სამუშაოს ხარისხს. • თანამშრომლებისა და სტუდენტების უფრო მეტად ინფორმირება იმის შესახებ, თუ რას სთავაზობს მათ ბიბლიოთეკა მონაცემთა ბაზების თვალსაზრისით. • თითოეული სასწავლო კურსისთვის საკითხავი ლიტერატურის უზრუნველყოფა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა უფრო ვრცელ და თანამედროვე ლიტერატურაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • საჭიროა სწავლის ონლაინ მენეჯმენტის არსებული სისტემის უფრო მეტად გამოყენება, მაგალითად, ინტერაქტიული აქტივობების, ფორუმების, თანამშრომლობის საშუალებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიუჯეტში და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. 2018/2019 წლების ანგარიშებზე ნაჩვენებია ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ჭარბი რაოდენობა. პროგრამის ხარჯები სათანადოდაა გამოთვლილი და მიუთითებს ფინანსურ მიზანშეწონილობასა და მდგრადობაზე. ბიუჯეტის დაახლოებით ნახევარი გამოიყოფა დამხმარე და სამეცნიერო/კვლევითი ხარჯებისთვის, რაც პერსონალს სტიმულს აძლევს გაზარდოს კვლევის პროდუქტიულობა. ფინანსური რესურსები ასევე გამოიყენება იმისთვის, რომ უზრუნველყოს პროგრამის ხარისხის უზრუნველსაყოფად და საზოგადოებაში ფაკულტეტის ადგილის დასამკვიდრებლად. ეს ხდება, მაგალითად, ფაკულტეტის ჟურნალისა და თანა-ხელმძღვანელობის (რომელშიც სხვა ქვეყნების ხელმძღვანელები არიან ჩართულები) საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან • თვითშეფასების ანგარიში • პროგრამის ბიუჯეტი • IBSU-ს ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილ დშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	☑			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს; პერიოდულად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და განხილვა. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინსტიტუციონალურ დონეზე შეიქმნა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეხმარება ხარისხის გაუმჯობესებას პროგრამულ დონეზე. თვითშეფასების ანგარიში (ნაწილი 5.1) აჩვენებს, რომ უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა შეესაბამება PDCA ციკლის პრინციპს (დაგეგმვა, გაკეთება, შემოწმება, მოქმედება). ეს კი ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას. იგი ასევე ასახავს ღონისძიებების თანმიმდევრობას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, მათ შორის პროგრამის კოორდინატორის მიერ პროგრამის ანგარიშის მომზადებას და მის წარდგენას ფაკულტეტის საბჭოსთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასწავლო გეგმის გამოყენების მეტად განვითარება (სწავლის შედეგების განსაზღვრა, პროგრამის დიზაინის უფრო თანმიმდევრული და გამარტივებული სახით ჩამოყალიბება) ქმნის ამ, მეხუთე სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მეტ შესაძლებლობას. გუნდს ეძლევა საშუალება უზრუნველყოს გამჭვირვალობა სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის. პროგრამაში ასახულია ბალანსი და თანმიმდევრულობა, სწავლების, სწავლისა, შეფასების მიდგომების ეფექტიანობა და ძირითადი ინსტიტუციური

პრიორიტეტების უზრუნველყოფა. პროგრამის მიმდინარე განხილვაში „კონსტრუქციული შესაბამისობის“ დაცვა შეიძლება გუნდს დაეხმაროს იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად აქტიურად უნდა იყვნენ სტუდენტები ჩართულნი სასწავლო პროცესში. მეორე ელემენტი, „შესაბამისობა“ გულისხმობს შესაბამისობას ან თანხვედრას დასახულ სასწავლო მიზნებს, სწავლებისა და სწავლის აქტივობებს, შეფასების საკითხებს (რომლებიც ამოწმებს, მიღწეულია თუ არა სასურველი შედეგები) შორის. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ ატარებს კვლევას სტუდენტების კმაყოფილების შესახებ. ასევე ჩატარდა სხვა სამუშაოები, როგორებიცაა SWOT ანალიზი და ექვსი სხვა სადოქტორო პროგრამის შედარება/განხილვა. ამასთან, რადგანაც პროგრამის თანამშრომლები და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ერთმანეთთან კარგად თანამშრომლობენ, არსებობს პოტენციალი, რომ მეტად ამაღლდეს კრიტიკული ასახვის დონე. რადგან თვითშეფასების ანგარიში იძლევა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს, საჭიროა ამგვარი ანალიზისთვის უფრო კრიტიკული ხასიათის მიცემა, რათა გუნდმა განუწყვეტლივ ეძებოს პროგრამის გაუმჯობესების გზები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • გასაუბრებების შედეგები • ბენჩმარკინგი (სამიზნე ნიშნულები) • ჩართული მხარეების ანგარიშები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • პროგრამის დიზაინისა და განხორციელების ხარისხის შესახებ ჩართული მხარეებისგან მეტი უკუკავშირის მიღება და გამოყენება • სასწავლო გეგმის წარმოებისა და სხვა გზების გამოყენება შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხი

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს. სამმა გარე ხარისხის შეფასების ექსპერტმა ახლახან მოახდინა შეფასება. მათ შორის ოყო ერთი ექსპერტი, რომელსაც შეფასების ჯგუფი Skype-ით გაესაუბრა ადგილობრივი ვიზიტის დროს.

რადგანაც დამყარდა ურთიერთობა უნივერსიტეტის გარეთ არსებულ მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, არსებობს შემდგომი განვითარების პოტენციალი, მათ შორის მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და შეფასების პროცესში ჩართულ ეროვნულ ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან (NGO-ებთან) და სკოლებთან ურთიერთობის გზით. ამ პარტნიორობებსა და კავშირებს შეუძლიათ მოიპოვონ ინფორმაცია პროგრამის მუშაობის შესახებ და გახდნენ გარე ხარისხის უზრუნველყოფის ღირებული წყარო.

ეროვნულ ცენტრში პროგრამის წარდგენა იყო ინფორმატიული, ნათელი და აჩვენა, რომ თვითშეფასების პროცესში საჭიროა უფრო მეტი დეტალისა და კრიტიკულობის შეტანა. ეს უფრო დაწვრილებით დაგვანახებს, თუ რამდენად იყო ხელმისაწვდომი პოლიტიკა და კვლევითი ლიტერატურა (მაგ., სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა) პროგრამის გუნდის მუშაობის წარმართვის მიზნით. ეს უფრო კარგად დაასაბუთებს გაკეთებული არჩევანის სისწორეს და დაგვანახებს, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო მსოფლიოს სადოქტორო განათლებაში არსებული მოწინავე იდეები და პრაქტიკა. მაგალითად, ევროპის რეალობაში არსებული ,,ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაცია" მრავალ პუბლიკაციას ქმნის, რომელიც გვიჩვენებს მაღალი ხარისხის სადოქტორო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების კარგ პრაქტიკას, ,,აზია-წყნარი ოკეანის ხარისხის ქსელი" (APQN) კი რეგულარულად აქვეყნებს საჭირო და უახლეს ანგარიშებს. ასევე არსებობს აკადემიური ჟურნალები, რომლებიც დოქტორანტურის დონეზე პროგრამების შექმნისა და განხორციელების შესახებ მრავალ საკითხს ეძღვნება, მაგალითად, კრედიტების გადანაწილება, ხელმძღვანელობის წარმართვა, ეთიკის დამტკიცება. ყველა ეს მოსამზადებელი სამუშაო იქნებოდა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი ინდიკატორი და გვიჩვენებდა, თუ რამდენად ფლობს და ხელმძღვანელობს პროგრამის გუნდი კრიტიკულ ინფორმაციას მოქმედი და ახლად წარმოქმნილი ტენდენციებისა და სტანდარტების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებების შედეგები
- ბენჩმარკინგი
- დაინტერესებული მხარეების ანგარიშები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდეს უფრო დახვეწილი დოკუმენტაცია პროგრამის გარკვეულ პროცედურებთან დაკავშირებით
- აღსანიშნავია, რომ პროგრამის ჯგუფის მიერ საორიენტაციოდ აღებული სადოქტორო პროგრამების მინიმალური ხანგრძლივობა არის ოთხი წელი. გასათვალისწინებელია IBSU– ში ასეთი ხანგრძლივობის შემოღების შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ უპირატესობების გამო, რომლებიც გამოიწვევს კვლევითი დისერტაციების ხარისხისა და გავლენის შემდგომ გაუმჯობესებას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ჯგუფი უკვე აწარმოებს მონიტორინგისა და მიმოხილვის მთელ რიგ ღონისძიებებს. პროგრამის საბჭო რეგულარულად ატარებს შეხვედრებს, რომ მოახდინოს პროგრამის განხილვა და წარუდგინოს იგი ფაკულტეტს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგრეთვე საჭიროა უფრო დახვეწილი დოკუმენტაციის შედგენა პროგრამის გარკვეულ პროცედურებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფას, მაგ., ეთიკის დამტკიცებას. ეს უნდა შეიცავდეს, მაგალითად, უფრო სრულყოფილ მითითებებს კვლევის დაკვირვების პროცესზე, ან სტუდენტების მიღების პროცესის შესახებ. ამგვარად შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს (მაგ., პროგრამის საბჭო და ყველა სხვა გარე ორგანო) ეცოდინებათ რა უნდა გამოიყენონ პროგრამის განხორციელების ეფექტურობის შესაფასებლად. პროგრამისთვის, საორიენტაციოდ აღებულია სხვა ქვეყნების ექვსი სადოქტორო პროგრამა, მაგალითად, ფინეთი, ლუქსემბურგი. ამგვარი შედარება/ორიენტირება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია იმის დასადგენად, თუ რა უნდა ისწავლებოდეს IBSU-ს პროგრამაში და რა ქმედებები უნდა განხორციელდეს სამომავლოდ. სხვა სტანდარტების შეფასებაში უკვე მოცემულია ორიენტირების პროცესის უფრო მეტად გასავითარებლად საჭირო გზები (მაგ., სტუდენტების მუშაობის, განსაკუთრებით კი IBSU- ში წარმოებული დისერტაციების მასშტაბების, ხარისხისა და ხასიათის შედარება აღნიშნულ ექვს პროგრამასთან). საერთაშორისო ხელმძღვანელობის სისტემის შემოღება კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორი წვლილი შეაქვთ პროგრამის კოორდინატორსა და გუნდს სტუდენტური გამოცდილების გაღრმავებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასწავლო გეგმის წარმოების სისტემა (curriculum mapping), რომელიც ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია აღნიშნული, საჭიროებს განვითარებას და პროგრამის რეგულარულ მიმოხილვაში ინტეგრირებას. შედეგად,

ადვილი იქნება განისაზღვროს, თუ რამდენადაა მიღწეული სწავლის შედეგები და შემუშავდება პროგრამის უფრო თანმიმდევრული და გამარტივებული დიზაინი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუს შედეგები • სადოქტორო პროგრამა • შეფასების შედეგები
რეკომენდაციები: • გაგრძელდეს ბენჩმარკინგის პროცესი (რომელიც უკვე დაწყებულია ექვს პროგრამასთან მიმართებაში), რათა უფრო მეტად იქნას შესწავლილი და გამოყენებული სხვა ქვეყნების პრაქტიკა. შემუშავდეს დოკუმენტი იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა ბენჩმარკინგის პროცესი პროგრამის გაუმჯობესებას. • ამავე მიზნით, უფრო დეტალურად იქნას შესწავლილი უცხოურ უნივერსიტეტებში მოქმედი მსგავსი პროგრამები, რათა გამოვლინდეს რამდენად შეესაბამება ან განსხვავდება შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამა და სტუდენტების მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომები.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • სისტემა, რომელიც შეიქმნა პროგრამის განხილვისთვის, გახდეს უფრო დეტალური და მოიცავდეს დეტალებს, თუ როგორ შეიძლება ხელი შეუწყოს პროგრამის საბჭოს მუშაობამ ხარისხის უზრუნველყოფას.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში

ანგარიშის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის		☑		

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
სახელი, გვარი, ხელმოწერა
კათალ დი პაორ Cathal de Paor.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
სახელი, გვარი, ხელმოწერა

პროფესორი ქეთევან თოდაძე

ქ-ნი ლალი ბერიშვილი

ქ–ნი ანჟელა აბულაძე